

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს

შპს „არ ემ ჯი აურამაინ“-ის დირექტორის
ჯონდო შუბითიძის


სკრინინგის განცხადება

შპს „არ ემ ჯი აურამაინ“ გეგმავს ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობას. საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, დაგეგმილი ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასთან დაკავშირებით, წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურების გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

შპს „არ ემ ჯი აურამაინ“ (ს/კ 405168740, იურიდიული მისამართი: თბილისი, ალექსიძის ქ., N1)-ის ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა დაგეგმილია ბოლნისის მუნიციპალიტეტის, სოფ. ბერთაკარის მიმდებარედ (მიწის ნაკვეთის ს/კ 80.10.61.177, GPS კოორდინატები X - 449260, Y - 4591970). უახლოესი დასახლებული პუნქტი აღნიშნული ტერიტორიიდან დაშორებულია 620 მეტრით. ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა მოხსნილია და დასაწყობებულია. საწარმო შემოფარგლულია მავთულბადით.

ნავთობპროდუქტების საცავი წარმოადგენს ცილინდრული ფორმის მიწისზედა დაწვენილ ჭურჭელს, რომლის გარეთა ზედაპირი დაფარულია მინიმუმ 80 მკრ სისქის ანტიკოროზიული ემალირებული საღებავით, დამზადებულია ფურცლოვანი ფოლადისაგან (მარკა СТЗСП). საცავს აქვს ლუქი, მასზე მიდუღებული ლითონის კიბე ლუქთან არსებული მოედნით(განკუთვნილი ავზის ტექნიკური მომსახურებისათვის), მანომეტრი, 4,7 მ. სიმაღლის სააერქციო მილი 0,05 დიამეტრის სასუნთქი სარქველით. ავზის საერთო მოცულობა შეადგენს 25 კუბ.მ.-ს. საცავი წარმოადგენს ავტოგასამართი სადგურის კომპლექტაციის შემადგენელ ნაწილს. (იხ. სურათი 1)

სურათი 1



რეზერვუარის კონსტრუქციაში ქარხნის სერტიფიკატის მიხედვით შედის ქვესადგამი, დამზადებული ასევე ფურცლოვანი ფოლადისაგან, რომელსაც არ გააჩნია დეფექტები და დაფარულია 80მკრ სისქის ანტიკოროზიული ემალის საღებავით. ქვესადგამი განკუთვნილია ეკოლოგიური დაღვრის(შლანგის გასკდომა, რეზერვუარის მთლიანობის დარღვევა და სხვ) მისაღებად - ამ დროს დაღვრილი საწვავი მოხვდება ქვესადგამზე და ჩაედინება ქვესადგამთან დაკავშირებულ მიწაში მოთავსებულ, ფოლადის ე. წ. ტექნოლოგიურ ჭაში, რომელსაც გააჩნია ალუმინის სარქველი.

ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობისათვის იგეგმება შემდეგი სახის სამშენებლო სამუშაოების წარმოება: ტერიტორიის დაბეტონება, საწვავის გასაცემი სვეტების მოედნის გარე პერიმეტრზე არხების მოწყობა, რომელიც შეერთდება მიწისქვეშა ავზთან(საღებავთან), სადაც მოხვდება საწარმოს ოპერირებისას უნებლიედ დაღვრილი საწვავი, სახურავის მოწყობა.

ოპერირებისას საღებავში მოხვედრილი ნავთობპროდუქტები ამოღებული იქნება და გამოყენებული იქნება წარმოებაში, ხოლო დარჩენილი ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული შლამი განთავსდება კონტეინერში და შემდგომ უტილიზაციაზე გადაეცემა ისეთ ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნია შესაბამისი ნებართვა.

ავტოგასამართი გათვალისწინებულია დიზელის საწვავის მომხმარებელზე რეალიზაციისათვის. საწარმო საწვავს მიიღებს ავტოცისტერნების საშუალებით. წლიური წარმადობა შეადგენს 200000ლიტრ დიზელის საწვავს.

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას წყალი გამოიყენება მხოლოდ საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის, რომლის რაოდენობა დამოკიდებულია დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობაზე. საწარმოს ხელმძღვანელობა გაგმავს 2 ადამიანის დასაქმებას. საწარმოში ცენტრალიზირებული წყალმომარაგება არ არსებობს, ამიტომ პირველ ეტაპზე მოხდება წყლის შემოტანა გარე ქსელიდან და რეზერვუარში დაგროვება. ნახმარი წყლის ჩაშვება მოხდება საასენიზაციო ორმოში, რომელიც პერიოდულად დაიცლება სპეც. ტექნიკის საშუალებით.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ადგილი აქვს საწარმოს უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფეროში. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, რომელთა მაქსიმალური ინტენსივობები ფიქსირდება ავტოცისტერნებიდან რეზერვუარში ნავთობპროდუქტების მიღებისას. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა არ გადააჭარბებს ზღვ-ის დასაშვებ ნორმას საწარმოდან როგორც 500მეტრიან რადიუსში, ასევე უახლოეს დასახლებულ პუნქტთან.

საცავი და ავტოგასამართი სვეტები განთავსებული იქნება ზემოდან დახურული ფარდულის ტიპის შენობაში, ამიტომ ნავთობპროდუქტებით სანიღვრე წყლების დაბინძურების რისკი არ არსებობს.

საწარმოს მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი, რადგან ავტოგასამართი სადგურის სპეციფიკიდან გამომდინარე არ იგეგმება მაღალი ხმაურის დონის გამომწვევი დანადგარის ქონა.

დაგეგმილი ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში არ ფიქსირდება მრავალწლიანი მცენარეული სახეობები, მით უმეტეს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები, ასევე არ ფიქსირდება ცხოველთა სახეობები.

საცავის მოწყობის პერიოდში მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა სრული კანონმდებლობის დაცვით დასაწყობებული იქნება საწარმოს ტერიტორიაზე.

ავტოგასამართი სადგურში ძირითადად დასაქმებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობა, რის გამოც დემოგრაფიული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. საქმიანობა დადებით გავლენას მოახდენს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

საწარმოს ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში არქელოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არსებობის ნიშნების ან მათი რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევაში დამკვეთის მოთხოვნით სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად შეწყვიტოს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს.

მშენებლობისას და ექსპლუატაციისას რაიმე სახის ბუნებრივი რესურსები გამოყენებული არ იქნება.

საცავის მოწყობისას მოსალოდნელია უმნიშვნელო რაოდენობით ნარჩენების წარმოქმნა ინერტული მასალების ნარჩენების სახით, ხოლო ოპერირებისას მოსალოდნელია მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა, მოცულობით 1,5მ³-ის ოდენობით, რომელიც გატანილი იქნება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ნაგავსაყრელზე.

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, რადგან მის სიახლოვეს ანალოგიური ტიპის ავტოგასამართი სადგური არ ფუნქციონირებს.

სახანძრო უსაფრთხოების მიზნით დამონტაჟებული იქნება სახანძრო დაფები ცაცხლმაქრით.

დანართი:

1. საწარმოს სიტუაციური გეგმა;
2. საწარმოს საკადასტრო ნახაზი;
3. CD – 1ცალი.

პატივისცემით,

დირექტორი,

ჯონდო შუბითიძე

დანართი 1





საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: **80.10.61.177**
 განცხადების ნომერი: **892017140504**
 მომზადების თარიღი: **27/11/2017**

ნაკვეთის დანიშნულება: **არასახოლო სამეურნეო**
 ფართობი: **22484 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**

